№ 77 — 1877–1897 — № 77

ოთხშაბათი, 23 აპრილი 1897 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გიორგი ნიკოლოზის ძე მალალაშვილი** და **ოლღა გიორგის ასული მალალაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა, პირველი — ძმისას და მეორე — მეუღლისას, **სოლომონ ნიკოლოზის ძის მალალაშვილის**`ს, და სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 25 აპრილს დილის 9 1/2 საათზედ, გარდაცვალებულის გვამის განსვენებაზედ დასასწრებლად გეიდენის ვიწრო ქუჩაზედ, ბობოკოვის სახლიდგან კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, საიდგანაც ცხედარს გაასვენებენ გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში.

პანაშვიდი ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზედ.

(1—102—1)

**თავადი ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე** შვილებითურთ, **თავ. ევგენი გრიგოლის ძე ბებუთოვი, კნეინა ანნა გრიგოლის ასული ერისთავისა** და **კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული წულუკიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რა ნათესავთა და ნაცნობთა უეცრად გარდაცვალებას პირველი — მეუღლისა მეორენი — დედისა და დანარჩენი — დისა, **კნ. ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისას** სოფ. დოესში (გორის მაზრა), სთხოვენ მათ მობრძანდნენ ხუთშაბათს აპრილის 24-ს, ქალაქ გორს სომხის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში წირვისა და პანაშვიდის მოსასმენად.—მიცვალებული დაიკრძალება სოფ. ბრილში. (3—101—2)

შემდეგი ნომერი გაზეთისა, დღესასწაულისა გამო, გამოვა პარასკევს 25 აპრილს.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის „დიდების ტაძარში" ამ აპრილის 20-დგან გამართულია საფოტოგრაფიო გამოფენა ფოტოგრაფიის მოყვარეთა საზოგადოებისა და გასტანს ამავე წლის მაისის 25-მდე.

*** მინისტრთა კომიტეტის იმ დადგენილებისაგამო, რომ ნება მისცეს მიწად-მოქმედების მინისტრს კავკასიის მთავარ-მართებელთან ერთად შეთანხმებით სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს ბლეკროტთან წინაალმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებაო, მთავარ-მართებელს წინადადება მიუცია გუბერნატორისათვის, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტთან ერთად განიხილეთ, რა ღონისძიებანია საჭირო ბლეკროტთან საბრძოლველადაო. („ახ. მიმოხ.").

*** ამას წინად ჩვენ ამოვიღეთ წერილი პ. ლანკოსი, რომელიც ჩიოდა, ქალაქის ამომრჩეველთა სიაში ჩემი გვარი არ არის მოხსენებულიო. ეხლა „ტფ. ფურ." სწერს, რომ ლანკო გამორიცხულია სიიდგან გუბერნიის საქალაქო საკრებულოს დადგენილებისამებრაო.

*** საერთაშორისო საგეოლოგიო კრების მოგზაურობაში მონაწილეობის მიღების სურვილი განუცხადებია 700 კაცს. სამოგზაუროდ თითო დასი წავა სხვა-და-სხვა ადგილას და სხვა-და-სხვა დროს: ურალისაკენ — 200 კაცი, ყირიმში — 209, კავკასიაში და კავკასიის სამხედრო გზაზედ — 350, ვოლგაზედ — 150, დნეპრზედ — 30, ესტონიაში — 30. თითოეულ დასს მიეცემა კრების კომიტეტის მიერ შედგენილი პროგრამა. ფინლიანდიაში დასი დარჩება 7 დღეს, იმოგზაურებს სამხრეთ ფინლიანდიაში და გოჰლანდის კუნძულზედ. კრების გათავების შემდეგ ყველა წევრნი გაიყოფებიან 3 დასად და კავკასიაში წამოვლენ სამოგზაუროდ.

*** კავკავის რკინის გზას მიუმართავს მთავრობისთვის და უთხოვნია, ნება მოგვეცით ჩვენის ხარჯით დავაარსოთ ორი ექვს-კლასიანი სატეხნიკო სასწავლებელიო.

*** გაზ. „ტფ. ლისტ."-ი სწერს, რომ განზრახვა აქვთ კავკასიის სამხედრო გზის იჯარა გადასცენ 12 წლის ვადით, 1898 წლის 1 იანვრიდგან, ეხლანდელ იჯარადარის ამხანაგის ქვრივს ქ-ნს იბრაჰიმ-ბეგოვისას, რომელმაც განაცხადა, რომ ტფილისიდგან კავკავამდე ეტლის ბილეთის ფასს შევამცირებო: 1 კლასის ბილეთი 18 მან. მაგიერ ეღირება 13 მანათად და მეორე კლასისა — 12 მანათის მაგიერ 9 მანათიო.

*** 21 აპრილს, საღამოს 9 საათზედ, მესამე თუმანოვის ქუჩაზედ, № 28, გორგაძის სახლში, ტფილისის მაზრის ს. ბევრეთის მცხოვრებელმა გლეხმა თედო თუაურმა თავის სადგომში სასიკვდილოდ დასჭრა დანით ტფილისის მოქალაქე გიორგი თაქიაშვილი, რომელიც პანასევიჩის ქუჩაზედ სცხოვრებდა, საკუთარ სახლში. მიზეზი ის ყოფილა, რომ, თაქიაშვილსა და თუაურის ცოლს ერთმანეთთან კავშირი ჰქონიათ და აგერ მეორე წელიწადია, რაც თაქიაშვილი დადის თურმე თუაურისას, რომელსაც ცოლი ატყუებდა, ჩემი შორეული ნათესავიაო. მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიხვდა მართალს, ამ დღეს სახლიდგან დაითხოვა, მაგრამ თაქიაშვილი ჯიბრზედ დაუდგა და დაუწყო წინააღმდეგობა. თუაურს გულმა აღარ მოუთმინა, ამოიღო დანა და ბარძაყში დაჰკრა. ჩხუბს პოლიცია წაესწრო, დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს და დამჭრელი დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** კვირას, 20 აპრილს, დილის 11 საათზე ველოსიპედის მოყვარეთა საზოგადოებას კრება ჰქონდა და საზოგადოების თავმჯდომარედ, პოლკოვნიკ მ. კ. ოლდეკოპის მაგიერ, რომელიც გადაყვანილ იქმნა მოსკოვში, ამოირჩიეს ი. ნ. მილიუტინი, თანაშემწედ (თავმჯდომარის ამხანაგად) ლ. უ. ვეისი. ახლად ამორჩეულმა თავმჯდომარემ სხდომის გათავებისას მოიხსენია-რა მ. კ. ოლდეკოპის დაუფასებელი შრომა საზოგადოებისათვის, წინადადება მისცა კრებას ამოირჩიონ იგი საპატიო წევრად. კრებამ მოიწონა წინადადება და დაადგინა ჩამოჰკიდონ საზოგადოების სახლის დარბაზში მ. კ. ოლდეკოპის სურათი.

*** გაზ. „ტფ. ფურც."-სა სწერენ: ტფილისის მაზრის ახალშენ ელიზაბეგტალში 26 მარტს ბორჩალოს მაზრის უფროსის თავ. ალ. სუმბათაშვილის თანადასწრებით ერთხმივ ამორჩეულ იქმნა ალგეთის ნაწილის რუების მირაბად გოლტასტის მცხოვრებელი ალექსანდრე გიტიშვილი, რომელიც დათანხმდა წელიწადში 200 მ. ჯამაგირს, იმ 900 მ. მაგიერ, რომელიც გადადებული იყო მირაბის საჯამაგიროდ. ამაზედ მეტი ღვთის წყალობა აღარ იყო საჭირო, მაგრამ ამორჩეულთა სია ჯერაც არ არის წარდგენილი დასამტკიცებლად სადაც ჯერ არსო.

*** სოფ. ბალთა (კავკავის მაზრა). აგერ ერთი თვე გავიდა, რაც ჩვენს სოფელში ბოროტ-მოქმედებს არა მოუპარავთ-რა. აღდგომის ღამეს-კი ერთს საწყალს კაცს მიულოცეს ქურდებმა, ე. ი. მოჰპარეს ცხენი, რომელიც მთელს იმის ოჯახს ასაზრდოებდა. ქურდები ქისტები უნდა იყვნენო, ამბობენ აქ. სოფლელები გავიდნენ მინდვრად, გადაუშვეს მინდვრები და დაიწყეს თესვა, მაგრამ ის საწყალი კაცი-კი დარჩა უხნავ-უთესი.

*** **ქუთაისი.** 8 აპრილს ჩვენი ისტორიკოსი ბ-ნი თ. ჟორდანია ჭყონდიდის გამგზავრა ცნობილის ჯრუჭის მონასტრისა (ზემო იმერეთში) და შიგ-დაცულ ძველის ხელთნაწერებისა და საეკკლესიო ნივთების აღსაწერად. ეს მონასტერი ჩვენის ისტორიის მკვლევარს ბ ნ მარი ბროსსესაც დაუთვალიერებია, მაგრამ გაკვრით აქვს მოხსენებული შიგ-ნახული ნივთები. ბ-ნ ჟორდანიას გულ-დასმით გაუსინჯავს ეს შესანიშნავი საცავი ჩვენის დიდებულის წარსულის დროის მწერლების ნაშთთა. ყურადღების ღირსია ამ მონასტერში შენახული ტყავზე დაწერილი სახარება 936 წლისა. შესანიშნავია აგრეთვე დასურათებული დავითნი. პირვანდელი ტექსტი ამ დავითნისა დაცულა და ხელ-მეორედ გადაუწერიათ. ხოლო სურათები შიგ აწერილის ამბებისა ერთად აუცილებლად და წიგნის მეორე ნახევარს შეადგენს. ამ მონასტერშივე დაცულია: „კრებული" ქართველთა წმიდანთა ცხოვრების აღწერისა, სრულის სავალობლებით, „ცხოვრება ქართველ წმინდანისა პროხორესი, ჯვარის მამის მონასტრის დამაარსებლისა" და მრავალი მინიატურები. აქვეა ოთხ-თავი სახარება, დაწერილი 1743 წელს წმინდა ტყავზედ. რაიცა საყურადღებოა იმით, რომ ამ ხანებში წიგნები ტყავზედ იშვიათად იწერებოდა საქართველოში. ბ-ნს ჟორდანიას გადმოუღია ნაწერებიცა ხატებსა, თუ მონასტრის კედლებზედ აღმოჩენილი. პატივცემულს ისტორიკოსს იმედი აქვს, თავისის მოგზაურობის ანგარიში მალე დაჰბეჭდოს და მით ყველასათვის ხელ-მისაწდომი გახადოს. („ცნ. ფურც.")

## ქალაქის საბჭო

21 აპრილი

პირველად საბჭოს მოხსენდა იმ ხმოსანთა სახელი და გვარი, რომელნიც 7 აპრილის კრებას ვერ დაესწრნენ. საბჭომ იმათი დაუსწრებლობის მიზეზი პატივსადებადა სცნო.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა საბჭოს მოახსენა: ჩვენი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კავკასიის რკინის გზის სამმართველოში ქალაქს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს, გზათა სამინისტრომ არ შეიწყნარა, რადგან ეს საჭიროდ ვერა სცნაო. საბჭომ ეს მოხსენება სახეში მიიღო.

ამის შემდეგ გამგეობის წევრმა ბ-ნ ქ. ა. ვერმიშევმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა სამუდამო საყასბოს აგების შესახებ. მოხსენების წამკითხველმა დაწვრილებით აცნობა საბჭოს, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭომ რიგიანის საყასბოს აგება განიზრახა, ვინ წარმოუდგინა გამგეობას სხვა-და-სხვა ნაირი გეგმა, თითოეულის გეგმით ახალის საყასბოს სასაკლაოს რამდენი ხარჯი უნდა და სხ. გამგეობამ ყველაზედ უფრო ინჟენერ შიმკევიჩის მიერ შემუშავებული გეგმა მოიწონაო, აუწყა საბჭოს ბ-ნ ვერმიშევმა. ამ გეგმით, გამგეობის აზრით, 400,000 მან. საჭიროა საყასბოს აგება-მოწყობისათვის, ხოლო საფინანსო კომისიის აზრით-კი 450,000 მანეთიო. როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, გამგეობას იმის შესახებაც უზრუნვია, რა ღონისძიებით გამართონ საყასბო და საუკეთესო საშუალებად სესხის აღება უცვნია.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ კამათი გაიმართა.

ხმ. გრიქუროვი. პროექტს მრავალი ნაკლულევანება აქვს: მაგალითად, კარგად ვერ არის გამორკვეული, ფული საიდგან უნდა ვიშოვოთ; პროექტში სურვილიც არის გამოცხადებული, რომ იგი სპეციალისტის მიერ იქმნას განხილული და სხ. ამასთანავე ეს ერთობ დიდი და საყურადღებო საქმეა და ამიტომ, ჩემის აზრით, ეს საქმე უნდა გადაიდოს საბჭოს განახლებამდეო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. არავითარი საბუთი არა გვაქვს, საქმე გადავდოთ. ქალაქის მკვიდრნი მოუთმენლად მოელიან ახალს საყასბოს. ამ საგნის შესახებ ფიქრსა და სჯა-ბაასში დროც ბევრი გავიდა: 1893 წელს დაადგინა საბჭომ ამ საგნის განხორციელება. დღეს უეჭველად უნდა გარდავსწყვიტოთ საყასბოს აგება, ხოლო რაც შეეხება წვრილმან საგნებს, მაგალითად, ტეხნიკურს მხარეს და სხ., ამაებისათვის გამგეობას შეუძლიან სპეციალისტებს მიჰმართოს.

ხმ. თამამშევი. ერთმა კაცმა რომ დაუსაბუთებლადა სთქვას, საქმის განხილვა გადავდოთო, ეს საკმარისი არ არის; ამისათვის საქმე არ გადაიდება. საბჭომ თავისი აზრი უნდა გამოსთქვას, აშენდეს საყასბო სასაკლაო, თუ პროექტი ისევ სპეციალისტს გარდაეცეს განსახილველად.

ბ-ნ თამამშევის აზრს ხმა ჩამოუტარეს და, ხმოსან გრიქუროვის გარდა, მთელმა საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ საქმის გადადება საჭირო არ არის და საყასბო უნდა აშენებულ იქმნასო.

რა-კი საქმე გარდასწყდა, საბჭო შემდეგ დაწვრილებით შეუდგა საქმის განხილვას.

ხმ. კიურჩარიანცი. შეიძლება, როგორც გამგეობა ჰფიქრობს, საყასბოს აგებას 400,000 მან. არ ეყოს; იქნება, არც 450,000 მან. ეყოს, როგორც საფინანსო კამისია ჰფიქრობს. ეს საქმე დიდს მოულოდნელს ხარჯს მოითხოვს. ამიტომ, საჭიროა, 500,000 მან. ავიღოთ სესხად. თუ ამოდენა ფული არ მოგვინდება, რას დავკარგავთ, ხომ ვერავინ მოგვტაცებს, ჩვენ ხელთ არ იქნება.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. პროექტის განხორციელების დროს გამგეობამ შემდეგი გარემოება უნდა იქონიოს სახეში: საყასბოში მილის წყალი უნდა იქმნას გაყვანილი, რადგან იმ ადგილას, საცაც იგი უნდა გაიმართოს (ნავთლუღი) მტკვარი ერთობ გა-

ბინძურებულია და მტკვრის წყლის ხმარება არ შეიძლება. ამასთანავე საჭიროა, საყასბოს სარდაფი ჰქონდეს; იქვე მახლობლად საქონლის საბანაკო ეზო მოეწყოს და სხ. ამისთვის მართლაც რომ საჭიროა, 500,000 მან. სესხი ავიღოთ, ე. ი. 100,000 მან. მეტი იმაზედ, რამდენსაც გამგეობა ჰფიქრობს.

ხმ. გლაკაცკი. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროში წარვადგინოთ განსახილველად. თუ სამინისტრო პროექტს მოიწონებს, სესხის აღების ნებასაც დაგვრთავს.

საბჭომ ერთ-ხმად დაადგინა 500,000 მან. იქმნას სესხად აღებულიო.

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა, მიენდოს გამგეობას, ახალ საყასბოში საკლავ საქონლის ბაჟი თითონ დაადგინოსო.

ხმ. ბაბოვი მიენდოს გამგეობას, რათა პროექტის შესრულების დროს სპეციალისტების აზრით იხელმძღვანელოს.

საბჭომ დაადგინა: ახალი საყასბო აგებულ იქმნეს ინჟინერ შიმკევიჩის პროექტისამებრ. აგრეთვე საყასბოს გაუკეთდეს სარდაფი; საყასბოს ეზო მოიკირწყლოს და სხ.

ბოლოს საბჭოს მოხსენდა, რომ საბჭოს მიერ გადადებულის ფულით გადამდებ სენით შეპყრობილ ავადმყოფთათვის იმოდენა ფარდული ვერ გაკეთდება, რომ ერთსა და იმავე დროს 20 ავადმყოფი მოთავსდესო; იმ ფულით მხოლოდ 14 ავადმყოფისათვის გაიმართება ფარდულიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ლამისყანა.** (ქსნის ხეობა). შარშან ლამისყანაში გაიმართა სამინისტრო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი აქამდის იმყოფება ნაქირავებს სახლში, რომელიც ეკუთვნის აქაურს აზნაურს გარსევანიძეს.. მთავრობამ განიზრახა საკუთარ სასკოლო შენობის აგება, რომ სოფელი განთავისუფლდეს ყოველ წლის ქირისაგან, რომელიც უდრის 15 თუმანს წელიწადში. დარწმუნდა რა მთავრობა სოფლის სიღარიბეს, აღმოუჩინა 1200 მან. დახმარება. სასკოლო და საეკლესიო ადგილი აჩუქეს თ. ალექსანდრე ორბელიანმა და მისმა მეუღლემ მარიამ გახტანგის ასულმა და დაუმტკიცეს კიდეც. მეორე აქაურმა თავადმა დ. ი. ერისთავმა აჩუქა სოფელს 15 საჟენი დაჭრილი საკირე შეშა, სასკოლო კამისიის თავმჯდომარედაც არის და სხვა ყოველნაირი დახმარებაც აღუთქვა.

სოფელმა მარტო დღიური მუშა უნდა აძლიოს, ურმები გამოიყვანოს ქვისა, ქვიშისა და შეშის მოსატანად; კასპიდან, ან გორიდან მოიტანოს ხის მასალა მთავრობის ფულით ნაყიდი და კირი დასწვას. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება!.. სოფელი უარზეა და არ უნდა სკოლის სადგომის აშენება. მიზეზად ის მოჰყავთ, რომ ღარიბნი ვართ, არ შეგვიძლიანო. თუმცა ერთმანეთში იმასაც ლაპარაკობენ, რომ სკოლიდამ კეთილი არაფერი არა გამოვა-რაო. ტყუილად ვტყუვდებით და ჩვენი შვილები-კი სკოლაში ვერაფერს სწავლობენო.

რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ სწავლის სურვილი არა აქვს ჩვენს ხალხს? სურვილი აქვს და მადიანაცა აქვს. ისეთს გლეხს ვერ იპოვით ჩვენს სოფლებში, რომ დაწვრილებით არ მოგიყვეთ სწავლის სარგებლობას. ჩვენი გლეხიც დიდიხანია დარწმუნდა, რომ სწავლა საჭირო შეიქმნა ამ დროში და თუ იგინი, ანუ იმათი შვილები უსწავლელები დარჩნენ, იმ შემთხვევაში ცხოვრების მინდორს ადვილად ვერ გაივლიან.

მაგრამ ჩვენი გლეხი იმასაც კარგად დარწმუნდა, რომ აწინდელი სასწავლებლები ისე არ არის მოწყობილ-გამართული, როგორც სასურველია.

გ. ს.

---

**ს. მარტყოფი.** (ტფილისის მაზრა). გვეგონა აპრილი დადგა, ეს არის ზამთარი მოვიშორეთო, მაგრამ რაც ზამთარმა დაგვაკლო, ის აპრილმა შეგვისრულა. პირველ რიცხვებიდანვე დაიწყო წვიმა და ქარი, თუმცა შიგა და შიგ მზიანი დღეები ჰყვებოდა. მარტის ბოლო რიცხვებში ზოგიერთმა ხეხილმა ყვავილი კიდეც გამოიტანა, მაგრამ უმჯობესი იყო, რომ სითბოს არ გამოეტყუებინა ყვავილი. 16 აპრილს აქ ისეთი თოვლი მოვიდა, რომ მეორე დღეს ბანები გადასვეტეს. ხეხილებზედ ღამე თოვლი ზედ გაჰყინა და, რასაკვირველია ამისთანა სიცივეს ხეხილი ვერ გაუძლებს. სიცივისა და უამინდობისაგან საქონელი ვეღარ გამოდის გარეთ და გლეხები გულ-ხელ დაკრეფილნი შეჰყურებენ გამოდარებას. ისე თავიანთ უსაზრდოობა არ აწუხებთ, როგორც საქონლისა. აქაურნი მცხოვრებნი სიცივესა და უამინდობას არ შეიმჩნევდნენ, რომ სოფელს გზა მაინც უვარგოდეს, მაგრამ ამ ბედნიერებას ჩვენი სოფელი მოკლებულია. მოხელეებს რომ ვეტყვით ხოლმე, გზები გაგვიკეთებინეთ, ქვაში დაგვიყრევინეთ, საქონელიც იტანჯება უგზოობისაგან და ხალხიცაო, ისინი ამ პასუხს იძლევიან: ჩვენ მამა პაპას ასე უცხოვრია და ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთო, ან კიდევ: წელს ნაკლები წელიწადი იყო, ხალხი ისეც შეწუხებულია უპურობისაგან და რაღა ეგ უნდა ისეც გაწვალებულს ხალხსაო, მაგრამ ეს სულ ტყუილია, თუ წელს ხალხი შეწუხებულია უპურობისაგან,—წინა წლებში ხომ შეეძლოთ გზის გაკეთება, რომ-ეს მამა-პაპური ცხოვრება გაეადვილებინათ. მაგრამ „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო", ნათქვამია და აქაურებიც ასე იქცევიან.

თუმცა კერძოდ რამდენჯერმე მითქვამს, რომ სოფლის ორღობეების გაკეთება აუცილებლად საჭიროა-მეთქი და უპასუხნიათ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა ჩვენთვისაც და უარის თქმაც არ შეგვიძლიან, თუ რომ ძალას დაგვატანენ და ზეგრად გაგვაკეთებინებენ, მაგრამ რაკი ხმას არავინა გვცემს, ჩვენც არხეინად ვართ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სოფლის მოხელეს უკვე ნაბძანები აქვს გზების გაუმჯობესობა, მაგრამ მთავრობის ბძანებაზედ ყურსაც არ იბერტყავს. არ ვიცი, რას უნდა მაწეროს კაცმა ესე გულ გრილად მოქცევა სოფლის მოხელეებისაგან.

იქაური

## ნეკროლოგი

† თ. სვიმონ თამაზის ძე რუსიევ-ყორჩიბაშიშვილი.

19 აპრილს თელავში დაასაფლავეს თ-დი სვიმონ თამაზის ძე რუსიევ-ყორჩიბაშიშვილი. განსვენებული სულ ახალგაზდა კაცი იყო, ესე—26—27 წლისა და ეკუთვნოდა იმ განათლებულ პიონერთა გუნდს, რომელთაც თავიანთის მოქმედების ასპარეზად სოფელი და მეურნეობა აურჩევიათ. თ-დ სვიმონს მართლა რომ განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა მამულისა და მიუხედავად გამუდმებულის ავადმყოფობისა (სიჭლექე)—ქალაქიდან სოფლად გარდასახლდა, რომ ჯეროვნად შეეწყო ხელი მიწათ მოქმედებისათვის. მართალია, განსაკუთრებული სწავლა არა ჰქონდა მიღებული, მაგრამ ყოველნაირ საშუალებასა ჰხმარობდა, რომ იგი ცოდნა შეეძინა და გაევრცელებინა მეზობელთა შორის. განსვენებულის თავდაპირველივე სურვილი იყო უმაღლესს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც საშუალო სასწავლებელი გაათავა—მოსკოვის-პეტრე-რაზუმოვის აკადემია გაუქმდა და იგი შევიდა სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში. მხოლოდ იძულებულ იყო მესამე კურსიდგან თავი დაენებებინა სწავლისთვის, რადგანაც პეტერბურგის მკაცრი ჰავა ვერ აიტანა და სიჭლექე შეეპარა. მერე დაბინავდა თელავში და მიწათმოქმედებასა და მევენახეობას შეუდგა. განსვენებულს მეტად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა გლეხკაცობასთან და, რომ დასცლოდა, გულმტკივნეული ჭირისუფალი გაუხდებოდა მათს ჭირ-ვარამს.

ამისთანა გაჭირვებულს დროში სოფლისათვის თ-დ სვიმონისთანა უანგარო, პატიოსან და სათნო მუშაკთა დაკარგვა მეტად სავალალო და სამძიმოა. სოფელი ღვთის ანაბარად არის დაგდებული და მოკლებულია შუქ-მყოფელ ლამპარს განათლებისას, თანაგრძნობას, და თუ კეთდება რამ, ისიც ალალბედად, ოღრო-ჩოღროდ!

როგორც გადმოგვცეს, განსვენებულს დღიური ჰქონია, რომელიც თურმე მეტად საყურადღებოა თავისის აზრიანობით და გულწრფელობით.

ილია ზურაბიშვილი

## ნაწყვეტი

—

თავ-მდაბლობს და გულ-კეთილობს
ბრძენი, ჭკვით სახელოვანი,
იბერება და ამაყობს
რეგვენი ავ-სულოვანი;
ამოა, ოდეს თავ-მდაბლობს
ლომ-გმირი ძალ-გულოვანი,
და საზიზღარ არს გოროზი,
სიტყვით ბრგე, საქმით მკვდროვანი.

დ. მაჩხანელი

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

სხვა რაღაა ეგოდენ ყბად-ასაღებიცა და წყალ-წასაღებიც, თუ არა ჩვენის მრავალ-ფეროვნის მეცნიერის გიორგი წერეთლის საქციელი, რომელმაც ამ ხელადაც ერთი მეცნიერულად გაიკუნტრუშა და ახალი ტერმინი შეჰქმნა ლანძღვა-გინების ლექსიკონისათვის. ეს ახალი ტერმინი, ეს სიტყვა „მარგალის სკუაა' (მეგრელის შვილი), რომელიც „ჩვენმა მეცნიერმა" განზრახ და მოფიქრებით წამოისროლა როგორც სათაკილო და საწყენი იმისთვის, ვისაც უთხრა. მერე-კი თავისებურად კუდის ქნევა დაიწყო, იქნება როგორმე თავი დავიძვრინოო, ვითომ-და თავის გამართლებას მოჰყვა, მაგრამ, მოგეხსენებათ,

წამხდარსა საქმეს რას არგებს
მერმე-და თითზედ კბენანი!..

თითზედ კბენასაც ხომ არ დასჯერდა, ჩვენი კბენაც მოიწადინა თავისის დაცვეთილისა და ბლაგვის კბილებით და იმის მეტი ველარა სთქვარა, რომ ილია ჭავჭავაძეს უკიჟინა,—მე ორთაჭალის ბაღები თვალითაც არ მინახავს, თქვენ-კი ნაღიმად დაბძანდებითო. იქნება, ვინ ამბობს, ორთაჭალა თვალითაც არ ენახოს, მაგრამ ჭალას-კი რომ კარგად არის მიჩვეული და ჭალელები რომ კარგად იცნობენ, იქ რომ ყოველი ბუჩქი ხმითა მაღალითა ჰღაღადებს ამ ახალ დასების შემთითხვნელ მზარეულის ქველობასა და „საქმეთა საგმიროთა", ეს ხომ თითონაც კარგად იცის და ბევრმაც სხვამ.

მაგრამ დავანებოთ თავი მის უმართებულო და ყბა-ახევით ნასროლს ლანძღვა-გინებას, ვინაიდგან ეს ხომ ვიცით, რომ

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების,

და დავუბრუნდეთ მისგან დიდის მეცნიერებით შექმნილს ახალს სიტყვას, ახალს ლექსს, რომელმაც ისე აურ-დაურია ჭკუა-გონება და ისე უბადრუკად დაუბნია დავთარი მეცნიერებისა. საქმე იმითი დაიწყო, რომ ვ. გუნიას მეგრელის შვილობა წასძახა, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ გულს ვატკენ, წყენას მივაყენებო. ჯერ „მარგალის სკუები" ახსენა, მრავლობითად: „ვინღაც გადმოვარდნილ მარგალის სკუებს საქართველოს ბედ-იღბალზე იმდენათ შესტკივათ გული, რამდენათაც თათრებს ბერძნებზე"-ო (იხ. „კვალი" № 15), მერე, რაკი თითონვე მიჰხვდა, რომ ეს ძალიან შევტოპეო, ვითომ გაისწორა შეცდომა: მე მარტო გუნიას ვუკიჟინე მარგალის სკუობა, რადგან იგი „უმგვანი გადმოქართლელებული მეგრელიაო"!.. („კვალი" № 16). ჩვენ ასეთი საქციელი არ მოვუწონეთ და აი, ამის გამო მოხსნა პირი გუდასა ლანძღვა-გინებისას და აღმოუტევა ჩვენდა მომართ. თან თავსაც ჰმართლულობს: „მე რომ ვისმე „მარგალისკუა" დავუძახო, განა ეს ნიშნავს სამეგრელოს ხალხის შეურაცხყოფით მოხსენებას"... „ზიზღის გამოსახატველად ვიხმარე მარგალის სკუა"-ო („კვალი", № 17).

დავუჯეროთ პატარა ხანს, რომ მარტო გუნიას უკიჟინა მეგრელობა და ამითი თავისი ზიზღი უნდა გამოეთქვა. ვკითხოთ ერთი, რა ჰნახა მერე აქ საკიჟინებელი და ზიზღის აღსანიშნავი?!. მარგალის სკუა განა საგინებელი, საკიჟინებელი, საკიცხავი, ზიზღის აღმნიშვნელი სიტყვაა?! აგრე რომ მივყოთ ხელი, ხომ შეიძლება კაცმა ისიც გინებად გააკეთოს: „ჰაი, შე გიორგი წერეთელოო!" რასაკვირველია, შეიძლება და იქნება ისეთი კაციც გამოჩნდეს, რომ ასე ხსენება თვისი გინებად მიიჩნიოს და შესაწყნარებელი საბუთიცა ჰქონდეს, მაგრამ არა გვგონია მთელს საქართველოში იყოს იმისთანა ვინმე, რომ „მარგალის სკუად" ხსენებამ გული ატკინოს, წყენა მიაყენოს, გააუპატიუროს ვინმე! აქ მეგრელად ხსენება ადამიანისა იმდენად გასაგონად არ არის საწყენი ვისთვისმე, რამდენადაც თქმაა მისი ლანძღვისა და გინების სახით საკიჟინებელი და სამარცხვინო, და ამსირცხვილს „მეცნიერი" გიორგი წერეთელი ვერსად გაექცევა, თუნდა მთელი დასი (ეს „მეხუთე დასი" იქნება!) სოფისტიკის მოძღვრებისა მოიხვიოს გარს და იმათის შემწეობით ეცადოს შავის გამოთეთრებას.

ეხლა ამაოდ-ღა სცდილობს ერთხელ განზრახ ნასროლი სიტყვა დაიჭიროს, გადააბრუნოს, გადმოაბრუნოს, შეჰკრიჭ-შემოჰკრიჭოს, სხვა მნიშვნელობა აჰკიდოს ზურგზედ და ამ ახალის, სრულიად შეუფერებელის, სამოსით ატაროს ხალხში. შეიძლება მოიბოდიშოს კიდეც თავი, მაგრამ უკვე აშკარად გამოთქმულს განზრახვას-კი ველარ ჩააფუჩეჩებს, იგი სამარადისო სახსოვრად დარჩება ეგრედ წოდებულ გიორგი წერეთლისა. მოდი და ნუ ვეტყვით ჩვენს „ყოველთა მეცნიერებათა პროფესორს", რომ ტყუილად ნუ დაშვრება, ვინაიდგან მისგან ხსენება «მარგალის სკუა» სი ის განზრახ-თქმული „სიტყვაა", რომლის შესახებაც მეფე ვახტანგმა სთქვა, რომ „ჩხავილი ჰსჯობან ტურისაო", და ურჩევნიან „დასდოს საცო პირსა თვისსა და კარი ძნელი ბაგეთა თვისთა!.."

ვსდუმდეთ ჩვენც, ვინაიდგან ამაზედ ბევრი ლაპარაკი არა ჰღირს:

კაინის ამბის სმენასა
სჯობს ყურში თითის დაცობა!

ალფა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Русь"-ი საყურადღებო ცნობებს იუწყება იმპერატორ ფრანც-იოსების კერძო ცხოვრების შესახებ:

იმპერატორი ძალიან განმარტოებითა სცხოვრობს, მკაცრად ასრულებს ერთხელ და ერთხელ შემოღებულს წეს-რიგს და ეს აძლევს შეძლებას მთელი დღე თავისის მძნელი თანამდებობის აღსრულებას მოანდომოს. ჩვეულებრივ საღამოს რვა საათზედ იძინებს და დილის ხუთის ნახევარზედ ფეხზეა. საჩქაროზედ ტანთ იცვამს, საუზმესა სჭამს და იკეტება სამუშაო ოთახში, სადაც ჯერ მისი საკუთარი ადიუტანტი გრაფ პაარი წარუდგენს ხოლმე სხვა-და-სხვა მოხსენებას, შემდეგ მინისტრები. შუადღისას იმპერატორი სადილს მიირთმევს გრაფ პაართან ერთად, მაგრამ ისე ცოტასა სჭამს და ისე სწრაფად, რომ სულ ოცს წუთს არ უნდება სადილს, ისევე საქმეს უბრუნდება. პირველიდგან სამამდე მისი ნახვა შეუძლიანთ რომელსამე წევრს საიმპერატორო გვარეულობისას, ხოლო კვირაში ორჯელ ნება აქვს ყოველს მის ქვეშევრდომს მივიდეს თავისს ხელმწიფესთან და თავისი დარდი და თხოვნა მოახსენოს. მეოთხე საათზედ იმპერატორი დიაკ ეტლით უმხლებლებოდ დასეირობს ვენის ქუჩებში. ავსტრიის იმპერატორი იმის ქვეშევრდომთ, იმას გარდა, რომ დიდს პატივსა სცემენ კეთილის ხასიათისათვის, დიდადაც უყვართ. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ-

პერატორს საათ უჭირავს თავი და ადვილი სანახავია. მაგალითებრ, ბუდაპეშტში გამართულ დღესასწაულის დროს ფრანც-იოსები აირია თურმე ხალხში, რომელიც აღტაცებული იყო თავისის ხელმწიფის თვისს შორის ყოფნით, და ალერსიანად ესაუბრებოდა მის გარს შემოხვეულს ხალხს, სულ ერთია, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო იგი.

როცა იშლში მიდის ფრანც-იოსები სანადიროდ, სულ ოთხი მოსამსახურე დასდევს თანა და ერთი ადგილობრივი მოხელე ჟანდარმერიისა. ხშირად შედის ხოლმე გლეხთა ქოხებში და ხელოსნებთან და ესაუბრება როგორც ხელმწიფე კი არა, არამედ როგორც მშობელი მამა, კითხულობს იმათს დარდსა და ვარამს, ჭმუნვის და ეხმარება გაჭირვების დროს.

რაც შეეხება იმპერატრიცა ელისაბედს, ჰერც-ერცოგის რუდოლფის სიკვდილის შემდეგ იგი იმდენად დამწუხარებულია, რომ მეჯლისებსა და დღესასწაულებს არასოდეს არ ესწრება თურმე.

## რუსეთი

რუსეთის გზათა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1896 წელს რკინის გზებით გადაუყვანიათ 77,502,760 კაცი და გადაუტანიათ 2,860 მილიონი ფუთი საქონელი. 1895 წელთან შედარებით 1,900 კაცითა და $2^1/_2$ მილიონ ფუთის საქონლით მეტი. ამასთანავე მომატებულა რაოდენობა შემოსულის ფულისა. 1895 წელს რუსეთის რკინის გზებს შემოსვლია 382,344,531 მან., ხოლო 1896 წელს—405,949,338 მან.

— კიევის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზედ მონაწილეობის მიღების სურვილი ძლიერ ბევრს განუცხადებია, როგორც რუსეთის მცხოვრებლებს, აგრედვე უცხოელებსაც. ამიტომ, გამოფენის კომიტეტს ყოველ გვარი ღონისძიება მიუღია, რომ გამოფენაზედ დასწრების მსურველთ რაც შეიძლება იაფად იშოვონ კიევში სადგომი სახლები. გარდა ამისა, კომიტეტს განზრახვა აქვს გამოსცეს გეგმა გამოფენისა და გამართოს საგანგებო კანტორა მსურველთათვის სახლების დასაქირავებლად. შინაურ ფრინველის გამშენებელ საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს სოფ. ლანსკაიასთან წიწილის გამოსაჩეკი ქარხანა, როგორც დიდი ხანია გამართულია ინგლისსა და საფრანგეთში. ქარხანას საფრანგეთის ერთი ინჟინერი აკეთებს იმ ვარაუდით, რომ დღეში შეიძლებოდეს 400 წიწილის გამოჩეკა. იმავე საზოგადოებას განზრახვა აქვს ფრინველი საზღვარ-გარედ ჰგზავნოს გასაყიდად.

## უცხოეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.** საბერძნეთ-ოსმალეთის მხედრობათა ერთი მეორესთან შეტაკების შესახებ, ოსმალეთიდგან ერთ ნაირი ამბავი მოდის, ხოლო საბერძნეთიდგან სულ სხვა ნაირი. თუ ოსმალეთიდგან მოსულ ცნობებს ვერწმუნეთ, საბერძნეთის ლაშქარი ერთობ გაჭირვებულს მდგომარეობაშია, გონივრულად მოქმედების აზროვნობა დაჰკარგა და რა ჰქმნას, აღარ იცისო. ოსმალეთის ჯარში ყოველგვარი წესრიგი დაცულია, მხედართ მთავარნი გონივრულად მოქმედებენ, დაპყრობილს ადგილებში წესიერება ჰსუფევს, გაქცეული მოვაჭრეები უკანვე დაბრუნდნენ და თავის საქმესავე მიუბრუნდნენ და სხ.

გაზ. „Post“-ს, მაგალითად, დეპეშით აცნობებენ, რომ თითონ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი კონსტანტინე თავისის შტაბითურთ ოსმალეთის ჯარს კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა ხელშიო. ტირნავოსში ოსმალეთის მხედრობამ დიდ-ძალი თოფი, ზარბაზნის ყუმბარები და სხვა მრავალი მასალა დაინარჩუნა. მრავალი ბერძენი ტყვედ დარჩათ ოსმალელებს და ელასონში გაგზავნილ იქმნენო. ედჰემ-ფაშამ პოლიციის რაზმი შეადგინა, რათა დაპყრობილ ადგილებში წეს-რიგი სასტიკად იქმნას დაცულიო და სხ.

ბერძნები კი ამბობენ, რომ ლარისა ჩვენ ჩვენის ნებით დავცალეთ, რადგან ამას სტრატეგიული მოსაზრება მოითხოვდაო. ოსმალები 80,000 ჯარის-კაცით უნდა დაგვსხმოდნენ თავს და ლარისაში ჩვენ ვერას გავხვდებოდით ჩვენის მცირედის ჯარითო. კეთილ-გონიერება მოითხოვდა, სამხრეთისაკენ, როგორც უფრო უშიშარ ადგილისაკენ, დაგვეწია და იქ შეგვეკრიბა ჩვენი ძალღონე, რადგან აქ ოსმალეთის ჯარი ვერას დაგვაკლებსო. პირ-იქით ოსმალეთის მხედრობა ახლა საფრთხეშია მომწყვდეული, რადგან სამხრეთიდგან საბერძნეთის ჯარი ჰყავს წინ გადამდგარი, მიუდგომელს ადგილას დაბანაკებული, და უკანიდგან მაკედონია და ეპირი, საცა თითოეული ადამიანი ოსმალეთის სიძულილით არის გამსჭვალული და ამბოხება უკვე დაიწყოო.

— ბევრს უკვირს, საიდგან ჰშოულობს საბერძნეთი ომისათვის ფულსაო. ამ საგნის შესახებ ლონდონის ერთ ბანკირს გაზ. „Echo“-ს კორესპონდენტისათვის აი რა უთქვამს: ამ უკანასკნელ სამის კვირის განმავლობაში,—ყოველ დღე საბერძნეთში გასაგზავნად აუარებელი ფული მოაქვთ ჩვენთანო. თითო კაცის შემოწირულება 1—10 გირ. სტერლინგამდე ადისო. ეს ფულები საბერძნეთის სამხედრო თანხის სასარგებლოდ იგზავნებაო. მუდამ დღე შემოწირულება ჰმატულობსო. ამ წესით, ამ სამის კვირის განმავლობაში 750,000 გირ. სტერლინგი გაიგზავნაო. შეწირულებანი ამავე საგნისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებისა და კანადიდგანაც იგზავნებაო.

**ბოლგარია.** გაზეთების სიტყვით, ბოლგარიის აგენტს ბ-ნ მარკოვს ხონთქრისთვის მოუხსენებია, რომ თუ ამ მოკლე ხანში ბერათი არ მოგვეცით მელნიკს, სტრუმიცს, კუკოსს, მონასტირსა და დიბრიდში ახალ ეპარქიების დაარსების შესახებ და აგრეთვე მონასტირსა და უსკიუბში ბოლგარიის სავაჭრო აგენტების შესახებ, ბოლგარიას ღონისძიება აქვს, სხვა საშუალებას მიჰმართოს, რათა მისი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნასო. პორტას რუსეთის ელჩის ნელიდოვისათვის მიუმართავს,—გვიშუამდგომლე ბოლგარიასთან ჩ ჩააგონე, რომ ერთობ უხერხული დრო შეგვირჩია ამ საქმისათვისაო.

— ბოლგარიის ცნობილ მოღვაწის—რადოსლავოვის გაზეთი „ნარ. პრ. „აი რას ურჩევს ბოლგარიის მთავრობას: ისარგებლეთ ეხლანდელ შემთხვევით და ჩაერიეთ მაკედონიისა და ორდინის საქმეებშიო. ეხლავე თუ ასე არ მოიქცევით, შემდეგ გვიან-ღა იქმნება, რადგან ოსმალეთი საბერძნეთს უთუოდ დაამარცხებს და ამით ზურგს გაიმაგრებსო. ამ გარემოების შედეგი ის იქნება, რომ მაკედონიასა და ორდინში ოსმალეთი არა თუ რაიმე სასიკეთო ცვლილებას არ შემოიღებს, იქაური ქრისტიანენი უფრო მეტს განსაცდელში ჩაცვივიან, იქაური სასწავლებლები დაიკეტება, ქრისტიანეთ ბრალიანად და უბრალოდ დევნას დაუწყებენო და სხ.

— გაზეთებში საინტერესო ცნობებია მოყვანილი ბოლგარიის მხედრობის რაოდენობის შესახებ. ერთი გაზეთი ამბობს, რომ თავის დღეში მაგალითი არა ყოფილა, ბოლგარიის ერის წარმომადგენელთ სამხედრო მინისტრისათვის მხედრობის გაძლიერების შესახებ უარი ეთქვათ და მის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი არ შეეწყნარებინათო. 1884 წ. ბოლგარიასა და მასთან ერთად რუმელიას 22,042 ჯარის კაცი და აფიცრები ჰყავდა, ამ ჟამად-კი მისს მხედრობაში 54,080 კაცი ირიცხება. ამას რომ სათადარიგო ჯარის-კაცთა რაოდენობა გამოვაკლოთ, მაინც 42,916 კაცი დარჩება, ე. ი. 1884 წელთან შედარებით 20,000 კაცზედ მეტი. ომიანობის დროს-კი ბოლგარიას 223,000 კაცი შეუძლიან ბრძოლის ველზედ გამოიყვანოს, ე. ი. ყოველ 10,000 მცხოვრებთა რიცხვზედ 674 კაცი და ამ მხრივ ბოლგარიას ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი უჭირავსო.

### წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

10 აპრილი

დღეს დილით, 10 აპრილს, დეპეშა მოვიდა, რომ ლარისა აიღეს ოსმალებმა. დიდი ზარალი მიეცათ ორსავე მხარესაო, იწერება ედჰემ-ფაშა, მაგრამ ჩვენი ზარალი სჯარბობს ბერძნებისასაო. სალონიკსა და იანინის ზღვის სანაპიროებს ბერძნებმა ზარბაზნები დაუშინეს და დიდად დააზიანეს. დღეს გამოვიდა ირადე სულთანისა, რომ დარდანელში მყოფი ოსმალეთის ფლოტი დაიძრას ადგილიდგან და სადაც საბერძნეთის გემი შეხვდეს, დაიჭიროს, ან დაღუპოსო. წუხელის სხდომა და თათბირი ჰქონდათ ილდიზ-კიოსკში, სადაც ბოლო დროს ფული მოგროვდა. შეწირულობა ორასი ათას ლირამდეა. კაპიტან-ფაშამ, ზღვის მინისტრმა, 50,000 ლირა შესწირა, სედრაზიმმა—10,000. ბერძნები ისევ ავრცელებენ ხმას, ვითომ ედჰემ-ფაშა დაატყვევესო და სალონიკი დაანგრიეს ბერძნებმაო. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტები ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან ედჰემ-ფაშას გამარჯვებას ულოცავენო, ამბობენ აქ.

ბოლგარიასა და რუმინიას უკმაყოფილება ჩამოუვარდათო, სწერენ აქაური გაზეთები. ინგლისი და ერთი ორი კიდევ სხვა სამეფო, დასძენენ ამ ამბავს იგივე გაზეთები, სცდილობენ სერბია და ბოლგარიაც გამოალაშქრონ ჩვენ წინააღმდეგ და ამით უნდათ შეგვიხვეწიონო; ეს სურვილი არ შეუსრულდებათ, რადგან ჩვენი მდგომარეობა ყველაზედ კარგად ჩვენვე გვესმის და როგორ უნდა მოვიქცეთ, იმას ჩვენც მივხვდებით. სამწუხაროდ, ევროპა ჯერ კიდევ ვერ გვიცნობსო. სულ ნახევარი საათი არ იქნება საპატრიარქოდგან მოვდიოდი გემით და ერთს ჩემს ნაცნობს, გავლენიანს ბერძენს ვკითხე:

— რას იტყვი? მართალია, რომ ქ. ლარისა აიღეს?

— არ ვიცი, მეც აგრე მითხრეს, მხოლოდ ბევრს ახალს ამბებს ყურს ნუ ათხოვებთ. შესაძლებელია, ერთგან ოსმალებმა გაიმარჯონ და მეორედგან ბერძნებმაო.

აქ იმასაც ამბობენ, რომ იანია ბერძნებმა აიღესო, მაგრამ ვინ იცის მართალია, თუ არაო. აქედგან ჩვენ ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ ლარისსა აღებული აქვთ ოსმალებს. დღეს ან ხვალ აქედგან კიდევ გაიგზავნება თესალიის საზღვრებზე მაკედონიაში 100,000-მდის ჯარი. დღეს გავრცელდა ხმა, რომ აღდგომას აქაური ბერძნების ეკკლესიები დაკეტილი იქნებაო. ამბობენ, ბერძნებმა სთხოვეს სულთანს: ეკკლესიებთან მცველები დაგვიყენეთ, რომ ხალხში შეტაკება არ მოხდესო. ამბობენ სულთანმა უპასუხაო, რომ მე ამისათვის ჯარი არა მყავს და თუ გეშინიანთ შეტაკებისა, ეკკლესიები დაკეტეთო. ხალხი შეშინებულია. ჯერ კიდევ მშვიდობიანობაა. ქუჩებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარი ისევ ისე დადიან სადარაჯოდ. სომხებისა აღარა ისმის-რა. რაღაც მზადება-კი უნდა იყოს, რადგან ჯაშუშები გამრავლდნენ. სამის დღის წინეთ გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთი მოხელე დაიჭირეს. თურმე სახლში ჰქონია ღონის სავარჯიშოდ რკინის ქვები, რომლითაც სახლის ერდოზედ ვარჯიშობდა ყოველ საღამოობით, ეს შეუმჩნევია პირდაპირ მყოფს მდგმურს, დინამიტი ჰგონებია და დაუბეზღებია. მაშინვე ახალ-გაზდა მოხელე (პოლონელი იყო) პოლიციაში წაიყვანეს, სახლი გაუჩხრიკეს ჩ რა დარწმუნდნენ, რომ უბრალო სათამაშო ქვებიაო, განათავისუფლეს.

რამდენად არეულია დღევანდელი საქმე ოსმალეთში, ვერ წარმოიდგენს კაცი. სულ ორი-სამის დღის განმავლობაში ათასნაირად იცვლება ამბები, ათასნაირად ატრიალებენ საქმის გარემოებას. დღეს დილას მოსული ამბები საღამოზედ სრულად შეიცვალა. ქალაქი ლარისსა მართალია აიღეს ოსმალებმა, მხოლოდ რამდენისამე საათის შემდეგ ედჰემ-ფაშა ოთხმოცი-ათასი ჯარით შემოქალტული იმყოფება და გასანძრევი ადგილი აღარა აქვს. ილდიზ-კიოსკში გაცხარებული სჯა არის. ბევრის კამათისა და სჯის შემდეგ გადასწყვიტეს, ჰაზი-ოსმან-ფაშის გაგზავნა. დელი ფოატ-ფაშაც აქ იყო ამდროს და რა ნახა, რომ ის კიდევ გამოსტოვეს, წამოდგა და სთქვა თურმე: „როგორც ვხედავ, მე არ გინდათ გამგზავნოთ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, მე თითონ წავალო“. ადგა და ბუტბუტით გამოვიდა. ხვალ საღამოს საგანგებო მატარებლით გაემგზავრება ოსმან-ფაშა მაკედონიაში. მხოლოდ, ბ-ნ ყაზიბეგისა არ იყოს, არც ამითი ეშველება საქმეს. ოსმან-ფაშა 70 წლის კაცია, გული სტკივა, ძალზედ არის გამტყდარი, რას უშველის საქმეს. მარტო იმის იმედი აქვთ, რომ ჯარს მისი იქ ყოფნაც გაამხნევებსო. იზეტ-ბეი მართლა დატუსაღებულია, რადგან ბერძნის ბანკირ ზოგრაფოდანისაგან 30,000 ლირა ქრთამი აუღია, იმ დეპეშის დამალვისათვის, რომელიც ედჰემ-ფაშას გამოეგზავნა, რომ თუ ეხლავე თავს არ დაეცით ბერძნებს, სანამ ისინი მზად არ არიან, ომს წავაგებთო.

ისე რაჭველი

### მეცნიერის კოხის ახალი საშუალება ჭლექის წინააღმდეგ

ყველას ეხსომება თუ რა დიდი და საყოველთაო აღელვება გამოიწვია იმ ხმამ, რომ გერმანელმა მეცნიერმა კოხმა ახალი წამალი ჭლექისა გამოიგონაო. ყოველი მხრიდგან გაემართნენ ჭლექიანები ბერლინისკენ, სადაც კოხი სცხოვრობს, ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, შველასა და შვებას მიიღებდნენ; უკანასკნელ გროშს არა ჰზოგავდნენ, რომ როგორმე ან კოხი ენახათ და ან წამალი გამოეწერათ. საკვირველიც არ არის ამ გვარი აღელვება, რადგანაც ჭლექი ერთი უსაშინელესი სენთაგანია, რომელიც საშინლად ჰმუსრავს კაცობრიობას. სტატისტიკა გვიჩვენებს, რა საშინლად არის მოდებული ეს სენი მთელს დედა-მიწაზედ. საშინელია ეს სენი, სხვათა შორის, იმითი, რომ მისი საწამლავი ნელ-ნელა ვრცელდება ჩვენს სხეულში და ამიტომ დროზედ ვერ ვიღებთ საშუალებას მასთან საბრძოლველად. გარდა ამისა, მეცნიერებაში უკვე დამტკიცებულია მისი გადამდებობა; საკმარისია, რომ ერთი ვინმე გახდეს ოჯახში, რომ სხვებისთვისაც შიში იყოს გადადებისა. ჭლექი გადადის აგრედვე მემკვიდრეობით. უმთავრესი მომწამლავი ძალა ჭლექისა მდგომარეობს მის განსაკუთრებულ ბაცილებში, რომლებიც კოხმა აღმოაჩინა და მის პატივსაცემლად მეცნიერებაში „კოხის ჩხირებს“ უძახიან, რადგან მათ პაწაწკინა ჩხირის მოყვანილობა აქვთ.

გენიოსის პასტერის შემდეგ შეიქმნა ადვილი ზოგიერთ გადამდებ სენის აცრა; ამისთვის უპირველესად საჭიროა გავიგოთ, თუ რაში მდგომარეობს ამა თუ იმ სენის მომწამლავი ძალა.

მართლაც სამკურნალო მეცნიერებაში უკვე შემოღებულია ცოფის, ხუნაგის, წელკავის (tetanis) და სხ. სენის აცრა.

კოხი დიდხანს ცდილობდა ამ გვარი წამლობა ჭლექის წინააღმდეგაც შემოეღო. აი ამის შედეგია ის საშუალება, რომელიც ხუთის წლის წინად აღმოაჩინა კოხმა; მაგრამ სამწუხაროდ მრავალის ცდის შემდეგ ავადმყოფებზედ დარწმუნდნენ მის უვარგისობას და დიდი სიხარული და იმედი გაცრუვდა... მაგრამ კოხი იმისთანა მეცნიერი არ არის, რომ ამით გაეთავებინა თავისი

ცდა. ამ ხუთის წლის განმავლობაში მუდმივ ცდაში იყო, რომ როგორმე გაეუმჯობესებინა თავისი წამალი. მართლაც ახალმა საექიმო ჟურნალებმა მოგვიტანეს ფრიად საინტერესო და საყურადღებო ამბავი: დიდის შრომისა და ცდის შემდეგ კოხს მიუგნია ნამდვილ ჭლექის წამლისთვის. ეს ახალი წამალი უცდია მრავალ ავადმყოფებზედ და აღმოჩენილა, რომ ძლიერი წამალია ჭლექისა. ეს ახალი წამალი არის ის ძველი, რომელიც წინად უვარგისი გამოდგა და რომელიც კოხს შეუმუშავებია და გადუსხვაფერებია. მე ზემოდ მოგახსენეთ, რომ პირველი წამალი კოხისა მიტოვებულ იქმნა-მეთქი; მაგრამ ამასთან ერთი ძლიერ სასარგებლო თვისება მაინც გამოაჩნდა მას, რომლითაც ყველა ქვეყნებში სარგებლობენ: ყველას იქნება არა ჰქონდეს გაგონილი, რომ ძროხას ხშირად გამოაჩნდება ხოლმე ჭლექის ნიშნები, რომელიც ძლიერ ადვილად გადაედება ადამიანს მისის რძის საშუალებით. ძროხას ჭლექი იმითი ემჩნევა, რომ ძუძუებზედ დააყრის მარგალიტის მსგავსს პაწაწკინა მუწუკებს, ეს მუწუკები წველის დროს რძეში ცვივა და აქედგან ადამიანს ედება. კოხის პირველის წამლის თვისება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც-კი ცოტაოდენს ამ სითხელისას შეუშხაპუნებს ძროხას კანს ქვეშ, რამდენიმე საათის შემდეგ გამოაჩნდება იმისთანა ნიშნები, რომლის წყალობით ატყობენ, ძროხას სჭირს ჭლექი თუ არა.

ახალი წამალი-კი, რომელიც ახლა კოხმა გამოიგონა წარმოადგენს სითხელეს, სადაც ქიმიურად გახსნილია ჭლექის ბაცილლები. ამ სითხელეს ჰქვია ჭლექის ანტიტოქსინი. ეს ჭლექის ახალი წამალი ძველისაგან განირჩევა თავისის მომზადებითა და შეზავებით.

ამ სითხელეს, როგორც ზემოდა ვთქვით, დიდი მარგებელი ძალა აღმოაჩნდა და კოხის სიტყვით ბევრმა ჭლექიანმა მიიღო სრული შვება. ეს წამალი ჰშველის მხოლოდ მაშინ, როდესაც ავადმყოფს ჭლექი მხოლოდ დასაწყისში აქვს; თუ-კი უკვე ძლიერ გაძნელებული აქვს და კარგა დიდმა ხანმა გაიარა, ეს წამალი ვეღარა ჰშველის.

ამ სითხელეს ჯერ ძლიერ ცოტას უშხაპუნებენ კან ქვეშ ჭლექიანს და თანდათან უმატებენ; ექიმმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ ავადმყოფს ამ დროს სიცხემ არ უნდა უმატოს; თუ კი მოუმატა, მაშინვე დროებით უნდა შესწყვიტოს. რამდენისამე შეშხაპუნების შემდეგ ადამიანი იძენს „იმმუნიტეტს“, ესე იგი ხდება უვნებელი ჭლექის საწამლავისათვის.

ექ. ბადრიძე

---

## ნაკვესი

—

საქართველოს ცნობილი „მეცნიერი“, რომელსაც მესამე დასი გაუფრინდა და მეოთხეს ეხლა ჰქმნის, მივიდა ერთხელ აკაკისთან, შუბლზედ თითი მიიბჯინა და ჩაფიქრებით უთხრა:

— ეეე, რომ იცოდე, აკაკი, რა მიტრიალებს თავში?!..

— ტვინიაო, მოუჭრა სიტყვა აკაკიმ: ხან იქით გადაბრუნდება, ხან აქეთ გადმობრუნდებაო.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ლონდონსა და ზოგიერთ ქალაქებს შორის უმავთულო ტელეგრაფი გაუმართავთო. ამ ამბავს განმარტება უნდა. უმავთულო ტელეგრაფი გამოიგონა ახალგაზდა ელექტროტეხნიკოსმა მარკონიმ. დეპეშის გასაგზავნ და მისაღებ მანქანებ შორის არც მავთული და არც სხვა რამ სრულიად არ არის საჭირო და დეპეშის გადაცემას არ დაუშლის მანქანებ შორის რომ მთა ადგილი იყოს ან თუნდა კედლები და სახლები. ყოველივე ეს სცადეს კიდეც ლონდონში. ერთ ალაგას ამ ახალმა მანქანამ მშვენივრად გადასცა დეპეშა მეორე მანქანას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი მთა ყოფილა. მეორე ადგილას კიდევ ორ მანქანას შორის რვა კედელი ყოფილა, მაგრამ დეპეშა მაინც გადაცემულა. გარდა ამისა დამტკიცდა კიდევ, რომ ამ მანქანების შემწეობით დეპეშების გადაცემას ხელს არ უშლის არც წყალი და არც ნისლი და ბურუსი. მაშასადამე, უმავთულოდ დეპეშის გადაცემა ძლიერ ადვილი იქნება ზღვაზედ ერთის გემიდგან მეორეზედ. ამ მანქანებისავე შემწეობით ამიერიდგან გემები ერთმანეთს აღარ დაეჯახებიან და მრავალი უბედურება ასცდებათ ზღვაში მოგზაურ ხალხსა. მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ გემების დაჯახება თითქმის ყოველთვის ღამე ხდება ზღვაში დიდის ნისლისა და ბურუსის დროს, როდესაც გემებიდგან ერთმანეთს ვერა ხედავენ. უბედურების ასაცილებლად საჭიროა მხოლოდ ყველა გემზედ გამართულ იქმნას მარკონის მანქანები. როდესაც ერთი გემი მეორეს მიუახლოვდება ამ მანქანის მეოხებით იმ წამსვე ზარის რეკვა ასტყდება ორთავე გემზედ. ინგლისის ინჟინერები სცდილობენ ეხლა, ამ გვარი მანქანები გამართონ გემებზედ და ზღვის ნაპირას მდებარე ადგილებში.

მარკონის მიერ გამოგონილ მანქანას ერთი გასაოცარი თვისებაცა აქვს. ამ მანქანის შემწეობით შეიძლება ცეცხლი გაუჩინონ ჯავშნიან გემს და, რადგანაც ამ გვარ გემებზედ ყოველთვის არის ხოლმე თოფის წამალი და დინამიტი, ამიტომ გემის აფეთქებაც შესაძლებელია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ ღონისძიებასაც მოიგონებს მეცნიერება და ისეთს მანქანებს გამართავენ, რომ ამ გვარი აფეთქება და დაღუპვა გემმა თავიდგან აიცილოს.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი

**მოსკოვი.** დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა ივერიის საზოგადოების მოწყალების დათა მიერ დამზადებული დაჭრილთა შესახვევი მასალა დაათვალიერა, რომელიც ხუთშაბათს საბერძნეთში უნდა გაიგზავნოს სასანიტარო რაზმთან ერთად. ეს რაზმი წითელ ჯვრის საზოგადოების მოსკოვის დედათა კომიტეტმა შეადგინა.

**კრონშტადი.** ნავოსნობა დაიწყო ორის იალქნიან გემის მოსვლით.

**ცეტინიე.** აქ სერბიის მეფე მობრძანდა.

**კონსტანტინეპოლი.** ლუროსის გზებზედ მზვერავი ჯარი გაიგზავნა. არტას ჯარი უკვე მიადგა.

**ლონდონი.** „Times“-ი უწყება, რომ ვოლოს არე-მარეში ოსმალეთის ცხენოსან ჯარსა და საბერძნეთის 4,000 ქვეითა ჯარის-კაცთ სამის ბატარეით მცირეოდენი შეტაკება მოუხდათ ერთმანეთთანაო. ოსმალები ვოლოს შევიდნენ, ფარსალოსთან 30,000 საბერძნეთის ჯარის-კაცია შეკრებილი 60 ზარბაზნით. ოსმალები უკვე შეესივნენ. ბერძნებმა, რომელთა ბანაკი გამაგრებული არ არის, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

**პრეტორია.** ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის ხელშეკრულობის გამო ბრიტანიის მთავრობა ამბობს, რომ ტრანსვაალს უფლება არა აქვს ასეთი ხელშეკრულობა იქონიოს ვისმესთანაო, და იმის გაუქმებას თხოულობს.

**პარიზი.** საელჩოების უფროსებთან ლაპარაკის დროს საბერძნეთის ელჩს შუამავლობის წინააღმდეგ არა უთქვამს-რა.

კონსტანტინეპოლის დეპეშები იუწყება, რომ ფარსალის დაცლა უკვე დაიწყესო. როგორცა სჩანს, ბერძნები დომიკოს ამ ბუნებრივს სიმაგრესაკენ, მიდიან, რომელიც ოტრიის მთებს შეუქმნია. როგორც სჩანს, არტას დაცლაც დაუწყიათ.

**კონსტანტინეპოლი.** ლუროსი დაჭერილია ოსმალეთის მხედრობის მიერ. ბერძნები სიჩქარით სტოვებენ ეპირს.

გაზეთი „იკდამი“ იუწყება: „ჰაირი-ფაშის დივიზიის ყარადიჩში გავლის დროს ტრიკალოს და ფარსალოს შუა და უფრო იქითკენ წასვლის დროს ველოსტინის მახლობლად მინდვრის სიმაგრეები ოსმალთა მიერ აღებულია. ბრძოლა არ შეწყვეტილა. ფარსალოს და ვოლოს შუა მიმოსვლა შეუწყვეტელია. ოსმალთ 10 ზარბაზანი დაინარჩუნეს.

ოსმალეთის ორი ნაღმიანი გემი დარდანელის თავთხელს წყალში გაირიყა. ერთი იმათგანი მოაშორეს რიყეს.

**ლონდონი.** პენტეპიგადოისთან ბერძნების დამარცხების შესახებ „Dailu telegraqh“-ი იუწყება: 600 ევზონი (მსროლელი) და 400 სხვა ჯარის-კაცი, ორის ზარბაზნით, მთის წვეროებზედ დაბანაკდნენ მტრის დასახვედრად, 600 ევზონმა ორი ზარბაზნით ფერდოს შუა დაიჭირა ადგილი. ოთხშაბათს 4000 ოსმალი არტილერიით რამდენჯერმე იერიშით მივიდნენ ბანაკზედ, მაგრამ ყოველთვის უკუ ქცეულ იქმნენ. ხუთშაბათს ოსმალები ხელ-ახლად თავს დაესხნენ. რადგან ბერძნებს საშველი ჯარი არ მიემატათ, სიმაგრეებიდგან გარეკილ იქმნენ და 100 კაცი დაჰკარგეს მოკლულითუ დაჭრილი. არტილერიამ I-მა შესწყვიტა მოქმედება, ევზონები-კი ისევ მამაცურად ომობდნენ. საღამოს ჟამს სულ ყველამ უკან დაიწიეს. აფიცრები ამაოდ სცდილობდნენ ჯარი შეეჩერებინა, შიშმა თანდათან იმატა და საერთო ზარად გარდაიქცა. გლეხთა ბრბონი გზაში ელობებოდნენ ბრძოლიდგან ლტოლვილი. პარასკევს დილით ბერძნები იმ ადგილას მოექცნენ, რა ადგილებშიაც ომის დაწყების დროს იდგნენ. ამ ჟამად ოსმალეთის ადგილ-მამულში არც ერთი ბერძენი აღარ მოიპოვება.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

—

გაზ. «ივერიის» მე-63 №-ში ხევიდგან (დუშ. მაზ.) მოწერილ ამბებში ბ-ნი ა. კობაიძე სხვათა შორის სწერს: „დიახ, ხალხში თუმცა სწავლის სურვილი აღძრული არის, მაგრამ პატრონი-კი არავინაა. არც საკმაო წიგნებია და არც მასწავლებელი, თორემ არა ქვეყანაში ამისთანა მიმბაძავი ხალხი არ იქმნება“. მე, როგორც ერთადერთს მასწავლებელს მთელს ხევში, როგორცა სჩანს, ბ-ნი კობაიძე ბრალსა მდებს, რომ ხალხში სწავლის ხალისია გაღვიძებული და შენ-კი ხალხის სურვილს გზას არ აძლევ, გულ-გრილად უყურებ და არა ჰპატრონობო. არ ვიცი, ეს ბრალი საქვეყნოდ რად დამდო ბ-ნმა კობაიძემ, როცა თითონ უკეთესად იცის, რომ რამდენადაც გარემოება ხელს მაძლევდა, არავითარს შრომასა და მეცადინეობას არა ვზოგავდი ხალხში სწავლის სურვილი გამეღვიძებინა და ამ სურვილისათვის შესაფერი საზრდოც მიმეცა. რომ ჩემის მხრივ კვეხნა არ გამოვიდეს, ყველას თავს დავანებებ, მოვიხსენიებ მხოლოდ, რომ წიგნთ-საცავი დავაარსე, შევაგროვე თითქმის ყველა წიგნები, რაც-კი ქართულ ენაზე მოიპოვება, დავაკაზმინე და მივაჩვიე ხალხი წიგნის კითხვას. მაშასადამე, ბ-ნ კობაიძის სიტყვები: „პატრონი არავინაა, არც საკმარისი წიგნებია და არც მასწავლებელიო“, სულ უსაფუძვლოა. იქნება ბ-ნს კობაიძეს იმისი თქმა უნდოდა, რომ ხევში საკმარისი სასწავლებლები და მასწავლებლები არ არისო. ეს სულ სხვაა. ზემორე მოყვანილი სიტყვები-კი მასწავლებელს სდებს ბრალს გულგრილობისას ხალხის სწავლა-განათლების საქმეში.

თუმცა ბ-ნმა კობაიძემ დახმარება გამიწია ფულით წიგთ-საცავის დაარსების დროს, მაინც არ შემიძლიან ერთი რამ კიდევ არ ვუსაყვედურო. „ივერიის“ მე-63 №-შივე უცხადებს-რა მადლობას სტეფანწმინდის წიგნთ-საცავის შემომწირველთ, სთხოვს ყველას შემოწირულება ჩემს სახელობაზედ გამოგზავნეთო. ამას მეორეთ სჩადის ბ-ნი კობაიძე. საკვირველია, წიგნთ-საცავის გამგე მე ვარ, შემოწირულებაც ჩემს ან წიგნთ-საცავის სახელობაზე მოდის, თუნდ ამასაც თავი დავანებოთ, ვთქვათ შეგვეწია ღმერთი და წიგნთ-საცავს გამოუგზავნა ვინმემ წიგნები ან სხვა რამ კობაიძის სახელობაზედ, კობაიძე 8 ვერსის სიშორეზედ სცხოვრობს ს. სტეფანწმინდასა და ფოსტაზედ და ორს კვირაში ერთხელ მოუხდება ფოსტაში შესვლა; ხომ ასე გვიან უნდა მიიღოს და მერე ისევ მე გადმომცეს, როდესაც მე და წიგნთ-საცავი, იქვე რამდენსამე ნაბიჯზედა ვართ ფოსტიდგან. დარწმუნებული ვარ, წიგნთ-საცავის შემომწირველთაგანი ვერავინ მისაყვედურებს მადლობა არ გამომიცხადე გაზეთის საშუალებითაო. მაშ რა არის მიზეზი კობაიძის ასეთის საქციელისა? ხომ ადვილად შესაძლებელია, რომელმამე სხვა ვაჟბატონთაგანმა მისის მიხედულობით მოინდომოს თავის გამოჩენა და პირდაპირ გამოაცხადოს გაზეთში, მე გამომიგზავნეთ შემოწირულობა: მე ვარ ხევში ყველა კეთილის საქმის დამწყები და პატრონიო. ამისთანა თავის გამოჩენის სურვილი საქმის გაკეთების მაგიერ მონასტერს ხომ უფრო აგვირევს.

მასწავლებელი გ. ნათაძე.

---

18 აპრილს, პარასკევს, საღამოს 9 საათზედ, ს. სუფსას „ივერია“-ში ამოვიკითხე, რომ ქართულს თეატრში დანიშნულ წარმოდგენის დივერტისმენტში მონაწილეთა შორის მეც ვიყავი გამოცხადებული.

აი მიზეზი იმისი, რომ მონაწილეობა არ მივიღე: დივერტისმენტში მონაწილეობის მიღება მთხოვა წარმოდგენის ერთმა მოთავეთაგანმა და მეც სიამოვნებით აღვუთქვი, რადგან წარმოდგენა დანიშნული იყო დიდ-მარხვის მესამე, თუ მეოთხე კვირაში. ეს წარმოდგენა დანიშნულს დროზედ არ შესდგა და გადაიდო სხვა დროისათვის. სააღდგომოდ გავემგზავრე გურია-იმერეთისკენ და სწორედ ეხლა, ჩემდა შეუტყობლად და დაუკითხავად, გამოეცხადებინათ ჩემი გვარი.

მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ბოდიში მოვითხოვო საზოგადოების წინაშე და ვუსაყვედურო იმას, ვინც საბოდიშოთ საქმე გამიხადა.

გრ. აბაშიძე.

---


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლისთვის 1897—1901 წ.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები 1897 წლის 18 მაისს იქნება. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოაცხადებს, კრება რომელ ადგილას შესდგება და რომელ საათზედ დაიწყება. 18 აპრილიდგან 2-ს მაისამდე (ამ დღის ჩათვლით) ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, სანამ მუშაობა არ შეწყდება, ამომრჩეველთ შეუძლიან წარმოადგინონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა. ამასთანავე ამომრჩეველთ 18 მაისის კრებაზედ დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებს კენჭი უყარონ. ამავე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სახელობაზედ მიიღება წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმოსნობის სურვილს თითონვე განაცხადებენ და ყუთს დაიდგამენ. ამომრჩეველს, თუ ჰსურს, შეუძლიან ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდგან ამოწერილი 24—33 მუხ., დაბეჭდილი დარიგება არჩევანების წეს-რიგის შესახებ და ბლანკები, რომელშიაც უნდა აღინიშნონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებული კანდიდატები. თითოეულ ამომრჩეველის მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 96 არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმეს ამ რიცხვზედ მეტი კანდიდატი დაუსახელებია, დათვლის დროს კანდიდატებად დასახელებულად ჩაითვლებიან მხოლოდ თავში მოხსენებული 96 კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, შესწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გაიღება და ეს უკანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმოსნობისთვის კენჭი უნდა იყარონ, და ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყვანს რამდენი ხმით არის დასახელებული თითოეული კანდიდატთაგანი. კანდიდატი, რომელიც ხუთ ამომრჩეველთა ნაკლებისაგან იქმნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონვე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდგით და კენჭი მიყარეთო.

რწმუნების ქაღალდი შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 შენიშ. და 25—27 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თავისს გაუყრელს შვილს მისცეს რწმუნების ქაღალდი.

2) თუ რომელიმე ამომრჩეველი კრებას ვერ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თავის მაგიერ კრებაზედ დასწრების უფლებას მეორე ამომრჩეველს ვერ გარდასცემს და ამიტომ ამ გვარი რწმუნების ქაღალდის გაცემა არ შეიძლება. (3—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Апрѣля 1897 г. სტამბა ძ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.